1

რეგისტრირებულია
საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის
სამინისტროს სარეგისტრაციო კოლეგიის
1994 წლის 3. XI
№ 20/3 დადგენილებით

# კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის წესდება

## I. ზოგადი დებულებანი

1.1 კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი, (შემდგომში "ცენტრი") წარმოადგენს საერთაშორისო სტატუსის მქონე არაკომერციულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2 ცენტრი წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ, და სხვა ატრიბუტიკა.

1.3 ცენტრი ფლობს განკერძოებულ ქონებას, უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, დადოს ხელშეკრულებები, გარიგებები, კონტრაქტები, გამოვიდეს მოსარჩელეთ ან მოპასუხეთ სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.

1.4 ცენტრი იძენს იურიდიული პირის უფლებებს კანონით დადგენილი წესით წესდების რეგისტრაციის მომენტიდან.

1.5 ცენტრს უფლება აქვს მოქმედი კანონმდებლობით დააფუძნოს ფილიალები და განყოფილებები იურიდიული პირის უფლებით, რომლებიც იმოქმედებენ ცენტრის მიერ დამტკიცებული წესდებით და ცენტრის მიერ გაცემული მინდობილობით.

1.6 ცენტრს შეუძლია დაიცვას და წარმოადგინოს თავისი წევრების კანონიერი ინტერესები სახელმწიფო ორგანიზაციებსა და სამართალდამცავ ორგანოებში.

1.7 საზოგადოების ადგილმდებარეობა: საქართველოს რესპუბლიკა, 380019, თბილისი, წერეთლის პრ. 128, ტელ. 34-11-95.

## II. ცენტრის მიზნები და ამოცანები

2.1 ცენტრის მიზნებს განეკუთვნება:

– თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე, მოწინავე მეთოდოლოგიურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა გამოყენებით, საქართველოში და მსოფლიოს სხვა რეგიონებში სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების წარმოშობისა და ესკალაციის მიზეზებისა და ხელშემწყობი ფაქტორების სისტემური კვლევა, მათი ადრეული გამოვლენის, დეესკალაციის, კონსტრუქციული მიმართულებით მართვისა და მოგვარებისათვის ხელის შეწყობა;

– შესაბამისი პრაქტიკული რეკომენდაციების გამომუშავება, სამეცნიერო პუბლიკაციების სახით ცენტრისა და მსოფლიოში არსებული ანალოგიური პროფილის დაწესებულებათა მოწინავე გამოცდილების გავრცელება, სხვადასხვა სახის მოლაპარაკებებში მონაწილეთა კონსულტირება და პროფესიული მომზადება.

– ცენტრი ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ახდენს პროფესიული კადრების მომზადებასა და გადამზადებას, მუშაობისას ამყარებს კავშირს მსოფლიოს ანალოგიური პროფილის ცენტრებთან და აკადემიურ ინსტიტუტებთან, პერიოდულად აწყობს კონფერენციებსა და სემინარებს, ავრცელებს და აქვეყნებს თავისი მოღვაწეობის შედეგებს.

2.2 ცენტრი ხსნის რეგიონალურ წარმომადგენლობებს და საკონსულტაციო პუნქტებს, მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ წამოწყებულ პროგრამებსა და კონკურსებში, გამოდის უკანასკნელთა ინიციატორის როლში.

2.3 ქმნის საწარმოებს, სამეურნეო ანგარიშიან ორგანიზაციებს, ფილიალებს, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რომელთა შემოსავალი ხმარდება ცენტრის მიზნების განხორციელებას.

2.4 აფუძნებს კანონით დადგენილი წესით გამომცემლობას, ჟურნალ-გაზეთს, აწყობს პრეზენტაციებსა და გამოფენა-გაყიდვებს. ეწევა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## III. ცენტრის წევრები, მათი უფლება – მოვალეობანი

3.1 ცენტრი ყალიბდება წევრობის ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმებით.

3.2 ცენტრის წევრი შეიძლება გახდეს სრულწლოვანების ასაკს მიღწეული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე და უცხოელი მოქალაქე, აგრეთვე ცენტრის მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული საქართველოში ან უცხოეთში რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომელიც ცნობს ამ წესდებას, იხდის საწევრო შესატანს და მონაწილეობს ცენტრის საქმიანობაში.

3.3 ცენტრში გაწევრიანება ხდება ცენტრის გამგეობის მიერ, წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.4 ცენტრის წევრს შეუძლია ნებაყოფლობით გავიდეს ცენტრის წევრობიდან, წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ცენტრის წევრი, რომლის მიერ ჩადენილი ქმედება ეწინააღმდეგება ცენტრის მიზნებსა და ამოცანებს გაირიცხება ცენტრიდან, გარიცხვის საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის წევრთა სულ ცოტა 2/3-ს მიერ.

3.5 ცენტრის წევრებს უფლება აქვთ:

– მიიღონ მონაწილეობა ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, ცენტრის გეგმების, პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;

– აირჩიონ და არჩეულ იქნან ცენტრის მართვის ორგანოებში;

– შეიტანონ წინადადებები და რეკომენდაციები ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით;

– გამგეობასთან შეთანხმებით მიიღონ ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ;

– ცენტრს მოსთხოვონ დახმარება, რომ დაიცვას მათი ინტერესები;

– თავისუფლად გავიდნენ ცენტრიან.

3.6 ცენტრის წევრები მოვალენი არიან:

– მონაწილეობა მიიღონ ცენტრის საქმიანობაში, დაიცვან ამ წესდების დებულებები;

– თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით გაუწიონ ცენტრს ფინანსური და მატერიალური დახმარება.

3.7 ცენტრის საქმიანობაში მონაწილეობა არ ართმევს დამოუკიდებლობას მასში შემავალ წევრებს.

## IV. ცენტრის ქონება და ფინანსები

4.1 ცენტრის ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის.

4.2 ცენტრის სახსრებს ქმნის:

- ცენტრის წევრთა ნებაყოფლობითი შესატანები;
- შემოწირულობები და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდებიდან მიღებული გრანტები;
- იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საქველმოქმედო ანაბრები;
- ცენტრის ძირითადი და მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.
- ცენტრის საწარმოო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

4.3 ცენტრის საწარმოო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი არ განაწილდება ცენტრის წევრებს შორის და გამოიყენება მხოლოდ საწესდებო ამოცანების შესასრულებლად.

4.4 ცენტრს შეუძლია საკუთრებაში იქონიოს შენობები, საცხოვრებელი ფონდი, მოწყობილობა ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა ცენტრის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

4.5 ფულადი სახსრების ხარჯვა ხორციელდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

## V. საწარმოო სამეურნეო საქმიანობა

5.1 ცენტრს უფლება აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით წარმართოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა და საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით შექმნას იურიდიული პირის უფლების მქონე დაწესებულებები, საწარმოები და სამეურნეო ანგარიშიანი ორგანიზაციები.

5.2 ცენტრთან შექმნილი საწარმოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოსავალი მოხმარდება მხოლოდ წესდებით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს.

5.3 ცენტრს უფლება აქვს შექმნას ფონდები, გაერთიანებები, საწარმოები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

5.4 ცენტრს შეუძლია იყოს სხვა, მათ შორის საერთაშორისო კავშირის წევრი.

5.5 ცენტრი დადგენილი წესით იძენს მისთვის საჭირო საქონელს, შენობებს, ნაგებობებს, მასალებს, ნედლეულს, ლიტერატურას და სხვა.

5.6 ცენტრი ეწევა საბუღალტრო, სტატისტიკურ და ოპერატიულ აღრიცხვას.

5.7 ცენტრს უფლება აქვს მოქმედი კანონმდებლობით აწარმოოს საგამომცემლო საქმიანობა, გამოსცეს ჟურნალი, გაზეთი და დააფუძნოს ტელე-რადიო კომპანია, სააგენტო.

## VI. ცენტრის მართვა

6.1 ცენტრის მართვა ხორციელდება თვითმმართველობისა და დემოკრატიის პრინციპებით.

6.2 ცენტრის მართვისა და კონტროლის ორგანოებს წარმოადგენენ:

საერთო კრება, ცენტრის დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, გამგეობა და სარევიზიო კომისია.

6.3 საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

– წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რაზედაც უნდა ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს;

– დირექტორის მიერ შემოთავაზებული გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიის დამტკიცება;

– გადაწყვეტილების მიღება ცენტრის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ;

– ცენტრის გამგეობის ანგარიშის მოსმენა;

– სალიკვიდაციო ბალანსის დამტკიცება.

6.4 საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ. კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს დირექტორის მიერ საჭიროების შემთხვევაში.

6.5 ცენტრის საქმიანობის საერთო და ოპერატიულ მართვას ახორციელებს ცენტრის დირექტორი. რომელიც:

– მოქმედებს ცენტრის სახელით და წარმოადგენს მას ყველა დონეზე;

– საერთო კრებას ან გამგეობას წარუდგენს დასამტკიცებლად ცენტრის საქმიანობის პროგრამებსა და პროექტებს;

– კონტროლს უწევს ცენტრის წესდებით გათვალისწინებულ საქველმოქმედო და სხვა მიზნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ხარჯვას;

– წარმართავს გამგეობის მუშაობას;

– ცენტრის სახელით დებს ხელშეკრულებებს;

ცენტრის დირექტორის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება ცენტრისა და მისი პროექტების დამფინანსებელ სპონსორებთან ურთიერთობის წარმართვა, უცხოეთიდან მიღებული გრანტებისა და შემოწირულობების დაბანდებისა და ცენტრის ბიუჯეტის დაგეგმვა.

6.6 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად გაიყო, მაშინ ცენტრის დირექტორის ხმა გადამწყვეტად ითვლება.

6.7 ცენტრის გამგეობის კომპეტენციაში შედის:

– უზრუნველყოს დირექტორის ან საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება;

– დაამტკიცოს დირექტორის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტისა და ბალანსის პროექტი;

– განიხილოს და დირექტორის წარდგინების საფუძველზე დაამტკიცოს ცენტრის მიერ შემუშავებული ან გარეშე ორგანიზაციებიდან და პიროვნებებისაგან შემოსული პროგრამები და პროექტები;

– კოორდინაცია გაუწიოს ცენტრის განყოფილებებისა და ფილიალების საქმიანობას;

– განიხილოს ცენტრის საქმიანობის სხვა საკითხები;

– მოიწვიოს ცენტრის საერთო კრება.

6.8 ცენტრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია.

6.9 სარევიზიო კომისია ვალდებულია მოაწყოს წელიწადში ერთხელ მაინც მიმდინარე შემოწმებები;

– გამგეობას არა აქვს უფლება დაამტკიცოს ბალანსი თუ არ იქნება სარევიზიო კომისიის დასკვნა;

– სარევიზიო კომისია აკონტროლებს ცენტრის სახსრებსა და ქონების გამოყენების მიზანშეწონილობას;

– ამოწმებს აღრიცხვის სისწორეს და რევიზიას უტარებს ცენტრის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობას.

## VII. ცენტრის პასუხისმგებლობა

7.1 სახელმწიფო, მისი ორგანოები და ორგანიზაციები პასუხს არ აგებენ ცენტრის ვალდებულებების გამო, ცენტრი პასუხს არ აგებს სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებების გამო.

7.2 სახელმწიფო უზრუნველყოფს ცენტრის უფლებათა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

7.3 ცენტრის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები პასუხს აგებენ ცენტრის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისათვის.

## VIII. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა

8.1 ცენტრი საქმიანობას წყვეტს მისი ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის გზით.

8.2 ლიკვიდაციის დროს ცენტრის უმაღლესი ორგანოს მიერ ინიშნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც ამტკიცებს ლიკვიდაციის პროცედურას.

8.3 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

Коллегия
Республики Грузия